№ 12. იანვრის 17, ხუთშაბათი. 1866—1885 წ. იანვრის 17, ხუთშაბათი. № 12

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.
ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. «Дроэба»
ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ. 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ. 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.
ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კაპ.; პირველზე 16 კაპ. სრული უკანასკნელი გვერდი 25 მანათი; პირველი 50 მან. რიცხვი სტრიქონებისა ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის კვალობაზედ.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.
„Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и за границы принимаются только въ цент., конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6

მიიღება ხელის-მოწერა გაზეთს
„დროებაზედ“
1885 წლისათვის

თბილისში—„დროების“ რედაქციაში; ქუთაისში—ძმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში; ბათუმში—მოსე ნათაძესთან; თელავში—ვანო როსტომაშვილთან; გორში—ალადრო თუთაევთან.
სოფლის მასწავლებელთათვის წლით შვიდი მანათი, ნახევარ წლით ოთხი მანათი. დაწვრილებით პირობები გაზეთის სათაურშია.

იქვე და იმავე პირებთან, რომელნიც ზემოდ არიან გამოცხადებულნი, მიიღება აგრეთვე ხელის-მოწერა ჟურნალს
„ივერიაზედ“

ვინც ცალკე დაიბარებს მთელის 1885 წლით ჟურნალს «ივერიას», უნდა გამოგზავნოს წლის ხვედრი ფული შვიდი მანათი (სოფლის მასწავლებელთათვის ხუთი მანათი) „დროების“ რედაქციაში ამ ადრესით: Въ Тифлисъ, въ Редакцію «Дроэба».
ვისაც უფრო ემარჯვებოდეს შეუძლიან «დროება» და «ივერია» ერთის წერილით დაიბაროს და ამისთვის ხვედრი ფული 16 მანათი გამოგზავნოს დროებისვე ადრესით.
რედაქტორი «ივერიისა» ილია ჭავჭავაძე.

საზაფხულო თეატრი
დღეს, იანვრის 17-ს
დანიშნულია ბენეფისი
ბ-ნი ქ. ყიფიანისა.
წარმოდგენილი იქნება პირველად
სიყვარული ახალგაზდა ქალისა
დრამა 3-ს მოქმ. ქ. მ. კოლუბანსკისა.

მესამე მოქმედება
მეფე ლირი-სა.
წამების ოთახი დრამიდამ
სამშობლო.
ბილეთები ისყიდება სათავად-აზნაურო „სობრანიეში“ და არწრუნისეულ თეატრის კასაში.
დასაწყისი 8 საათზე.

## შინაური ქრონიკა

— ხუთ-ექვსს წელიწადზედ მეტია, რაც სოფ. მეტეხს, ქართლში, სკოლა გაიხსნა. ამ სკოლაში პირველად მასწავლებლად იყო ზაქ. ბულისაშვილი, რომლის დროსაც ხალხი მეტად ხალისობდა სწავლას და ცოლშვილიანნი გლეხნიც კი დადიოდენ მასწავლებელთან „ანა-ბანის“ სასწავლებლად. ახლა კი ამ სკოლაზედ დიდს სამდურავსა გვწერენ. გლეხები სიამოვნებით იგონებენ „მაქროს“ დროს და თავიანთ ბედს ემდურიან, რომ მათი სკოლა ეხლა სრულიად უნაყოფოდა რჩებაო.

— დაბა ოზურგეთში ამას წინად ორჯერ გაუმართავთ ქართული წარმოდგენა იქაური სკოლის სასარგებლოდ. თუმცა წარმოდგენებმა კარგად ჩაიარეს და ფულიც კეთილს საქმეს უნდა მოხმარებოდაო, მაგრამ, ხალხი ძალიან ნაკლებად დასწრებია, მეტადრე ის ხალხი, რომელიც თავისთავს „მაღალ“ საზოგადოებას ეძახის. ეს მით უფრო საწყენიაო, გვწერენ იქიდამ, რომ საზოგადოების გულგრილობამ ხალისი დაუკარგა წარმომადგენელთ, რადგან ესევე „მაღალი საზოგადოება“ დიდის სიამოვნებით ესწრება სხვა-და-სხვა ჯამბაზებისა და „სკრიპაჩების“ წარმოდგენებსაო.

— რაც ბათუმისკენ რკინის გზა გავიდა, სამტრედიის სტანციას დიდი მნიშვნელობა მიეცა და ეს უწინ უკაცური ალაგი თითქმის პატარა ქალაქად გადაიქცა. ახლა აქ იყრება სამი რკინის გზა და ვაჭრობაც საკმაოდ გაჩაღებულია. იქაური მოვაჭრეები გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ მათს დაბას ერთი რამ პირობა აკლია, რომელიც ყოველს კეთილად განწყობილს ქალაქს, თუ დაბას უნდა ჰქონდეს. ეს ის, რომ სახლების დაზღვევა უძნელდებათ. ამას წინად ჩამოვიდა მზღვეველი საზოგადოების აგენტი, მაგრამ მარტო ერთი სახლი დააზღვევა და სხვების დაზღვევაზედ უარი სთქვაო. კარგი იქნება, რომ ამ მოთხოვნილებას სამტრედიელებისას მიაქციონ ყურადღება მზღვეველ საზოგადოებათა აგენტებმა.

— თელავიდამ გვწერენ: „ყვარელიდამ მოსულებმა გვიამბეს, რომ იქ ერთგვარი სენი გაჩენილა, რომელიც მეტად აავადებს კაცს და ხან-დაუზმელად სულს ახდენსო, მაგრამ ჯერ ნამდვილად არ ვიცით ეს ამბავი მართალია, თუ მოგონილი. საზოგადოდ კახეთში საქონელი ძალიან იხოცება.

სამშაბათს, იანვრის 15-ს, თელავის მაზრის თავად-აზნაურობა მოწვეულია

«დროების» ფელეტონი, იანვ. 17-ს

## ეთნოგრაფიული წერილები

აფხაზეთი

(წერილი მეხუთე*).

— თუ გინდა რომ გქონდეს მაღალი შუბლი, ეუბნება ძიძის ქალი ესმა-ხანუმს, პირველად გამოცდილს ქალს მოაპარსვინე თმა შუბლს ზევით ერთს გოჯზედ, შემდგომ იშოვნე მავი ყვავი, ორად გასჭერ იგი და არ გააციო, ისე თბილ-თბილად დაიდევ მოპარსულს ადგილზედ; ამის შემდეგ თავის დღეში აღარ ამოგივა თმა იმ ადგილზედ და შუბლი მაღალი გექნება.

— რავქნა მაშინ, რომ კაცმა გამიგოს?

— ნუ გეშინიან, სატრფოო ჩემო! ისინიც ხშირად ხმარობენ სხვა-და-სხვა საშუალობათა. მოხუცებულობის ჟამს კაცები იღებავენ თმასა, ულვაშებსა და წვერებსა. მე თვითონ მინახავს ეს და ძლიერ კარგადაც ვიცი მათი საიდუმლოება.

— ეგ კარგი, ჩემო ძვირფასო, მაგრამ ახლა მითხარ, როდის წამიყვან ფერხულის თამაშობაზედ?

— ზეგ წავიდეთ შენს ძიძასთან და იქიდგან ფერხულის ცეკვაში.

ახლა გავიცნოთ, თუ როგორი ფერხული იციან აფხაზებმა.

კვირაობით და უქმე დღეობით იკრიბებიან ყმაწვილები ვაკე მინდორზედ ხშირ-ფოთლებიან ხეების ქვეშ და იქ რომელიმე გამოაცხადებს ბურთის თამაშის დაწყების საათს. პირველად თამაშობას იწყებენ პატარა ბავშვები, შემდგომ შეუერთდებიან მათ დიდებიც. ამ თამაშობაში ქალები არავითარს მონაწილეობას არ ღებულობენ, მხოლოდ უყურებენ და მოსწონთ ყმაწვილ კაცთა სიმკვირცხლე, ძალი, გაბედვით გარდახტომა თხრილზედ. მრავალნი სწავლობენ მაღლა საქენის სიმაღლეზედ ახტომასა, ანუ გადახტომას რამდენიმე ნაბდის სიგძეზედ. გარდა ამისა დააყენებენ ხუთს ანუ ათს კაცს ერთად და თავზედ გადაევლებიან. ხშირად მოხდება ნაძლევი სირბილშიაც.

შემდგომ ამ გვარის თამაშობისა შესდგება დიდი წრე ყმაწვილთა ვაჟთა და ქალიშვილთა. სიმგრგვლე მეიდნისა შეიცავს სამოცს და ხანდისხან ასს ალაბს. გვერდზედ თვითოეულს ყმაწვილს ვაჟს ამოუდგება გასათხოვარი, ანუ ახალ-გაზდა გათხოვილი ქალი. ერთი მათგანი ანიშნებს დამღერებით და ერთს თვალის დახამხამებაზედ ყველანი ჩაჰკიდებენ ხელიხელს და იწყებენ პირველად ხტომას ერთს ადგილს, შემდგომ მარჯვენის მხრით მარცხენისკენ და მარცხენის მხრით მარჯვენისკენ მიმოსვლას ცეკვა—ხტომით. ფერხულში მომღერლების ხმაზედ ტრიალობენ. იმღერიან საზოგადოდ ყველანი დადგენილ წესზედ: პირველად დაიწყებს ის კერძო, რომელიც წრის მეოთხედს შეადგენს, შემდგომ მეორე, მესამე და მეოთხე. ანუ პირველი ნახევარი დაიწყებს და მერმედ მეორე ნახევარი განიმეორებს მასვე; ასე რომ არ უშლიან ერთი მეორეს და არც მოცეკვართა ცეკვას შეაყენებინებენ.

ერთის ანუ ორის საათის შემდგომ მოცეკვარნი ორ კერძოდ განიყოფებიან და თვითოეული მათგანი გამოიყვანს თავის მოლექსეს. იგი პირველად ლექსებით გაამხნევებს მის მყოფთა, შემდგომ შეეშულება ლექსებში თავის მოპირდაპირე მელექსეს, რომელიც მოსულია მეორე სოფლიდამ. სახლში აღზრდილნი მოლექსე აფხაზნი გამოიჩენენ გასაკვირველს ცოდნას გალექსებაში. მთელი დღით შეუძლიანთ ერთი-ერთმანეთთან გაჯიბრება. წინ და წინ თვითოეული მათგანი თავის სოფელს ქებით შეამკობს, შემდგომ აქებს თავის მომხრეებს, ბოლოს მიმართავს თავის მოპირდაპირეს და დაუზოგავად უშვერის ლექსით იხსენიებს, როგორც თვით იმას, ისე მასთან მყოფთა.

მოლექსენი თავიანთ ლექსებს ხორეის ანუ დაქტილის ფორმით ამბობენ. პირველად იწყებს სიმღერას ერთი და შემდგომ თვითოეულის ორის ხანისა, განიმეორებენ ყველა მისნი მომხრენი; მოპირდაპირენი მსგავსადვე მიუგებენ. ამ მოლექსეთ შეშულების დროს ცეკვა არა თუ შესდგება, არამედ უფრო და-უფრო ცხოველდება. გამარჯვებულ მოლექსეს ქებადიდებას უძღვნიან, ჰაერში შეისვრიან და მისი სახელი დიდხანს რჩება დაუვიწყარი.

გარდა ფერხულისა აფხაზთ სხვა დროს-გატარებაცა აქვთ:

ვაჟნი შეიკრიბებიან ერთად, გამოიყვანებენ მომღერალთ, დაუკრავენ ტაშს და ამ დროს შუა მოედანზედ ვაჟი და ქალიშვილი გამოვლენ. ღირსება მათის ცეკვისა სხვა-და-სხვა ხელოვნებაშია და უმთავრესად დაუღალველობაში. ვაჟი ხმარობს ყოველს გვარს მეცადინეობას, დაღალოს მასთან მოცეკვე ქალი და უარი ათქმევინოს ცეკვის განგრძობაზედ. ხანდისხან ქალიშვილი სჯობნის ვაჟს და

*) იხილე „დროება“ № 9

მათის წინამძღოლისაგან სწავლისათვის ფულის განაწილების თაობაზედ.

== რამდენიმე დღეა, რაც გამოვიდა და ისყიდება რუსული „კავკასიის კალენდარი“ აწმყო წლისათვის შედგენილი ბ-ნი ქონდრატენკოს რედაქციით. წლევანდელი კალენდარი ბევრით უკან დაუვარდება ღირსებით წინანდელ წლების კალენდარს. ბ-ნს რედაქტორს შრომა დაზარებია, როგორც კალენდარს ეტყობა, თავის გამოცემისათვის და უბეჭდია ერთხელვე მიღებულ სისტემით ის სტატისტიკური, საადრესო და სხვ... ცნობები, რომელნიც სავალდებულოდ წარმოუგზავნიათ მისთვის სხვა-და-სხვა ოფიციალურ დაწესებულებათა. განსაკუთრებით შესანიშნავია სისუსტით განყოფილება «ბეჭდვისა კავკასიაში 1883 წელს», და მეტადრე ის ცნობები ამ განყოფილებისა, რომელნიც შეეხებიან ქართულს ბეჭდვის საქმეს. შემადგენელის სიტყვით ამ წელს ქართულს ენაზე გამოცემულა ვითომ მხოლოდ ექვსი წიგნი და ასახელებს კიდეც ამ წიგნებს, რომელთ შორის, ალბად, მოხსენების ღირსად არა სთვლის დიდებული შოთას „ვეფხის-ტყაოსანს“, ოთხ მოქმედებიან კომედიას გ. შარვაშიძისას „მომაკვდავ სურათებს“ და სხვ. ამ განყოფილების შემადგენელი თუ რამდენად მცოდნე ყოფილა თავის საქმისა, ეს იქიდამ დაინახეთ, რომ ი. გოგებაშვილის „კუნძულს“ რუსულ ენაზე კუნძულად („островъ“) უთარგმნია და ალნიაშვილის Первый шагъ-ს ქართულ წიგნადა სთვლის!..

== ოზურგეთიდამ გვწერენ, რომ ალექსანდრე ეპისკოპოზისაგან საკუთარის ხარჯით დაარსებული საქალებო ეპარქიალური სკოლა უკვე დახურულა საშუალების უქონლობის გამო. წლიურ ხარჯად, როგორც საქმის მცოდნენი ამბობენ, საკმაო ყოფილა სულ ათასი მანათი... სანამ არსებობდა, მაშინაც ვერ მიდიოდა კარგად ამ სკოლის საქმეო: სულ ოციოდე მოსწავლე იყო, სკოლას აკლდა ყოველივე საჭირო მოწყობილობა, მასწავლებელს ქალს ეძლეოდა თვეში მხოლოდ ერთი თუმანი, და ამის გამო, რასაკვირველია, ვერც ერთი სპეციალურად მომზადებული ქალი ხელს ვერ ჰკიდებდა ამ თანამდებობას...

== სოფ. ვარძიიდამ (შორაპნის მაზრა) გვწერენ, რომ ბ. გიორგი ანთაძეს, რომელმაც სკოლა თავის ხარჯით ააშენა და თვითონვე ასწავლის, ადგილობრივ აზნაურთა და სასულიერო წოდების შორის ბევრი ხელის შემშლელნი გამოსჩენიან და ყოველს ღონის-ძიებას ხმარობენ სკოლას ავნონ რამე, მაგრამ ბ. ანთაძე გულს არ იტეხს, უფრო მხნევდება და ცდილობს სკოლის გაუმჯობესობასაო.

== იქიდამვე გვწერენ, რომ დიდებული ვარძიის ეკლესიის თლილი ქვები გლეხებს გალავნიდამ გააქვთ და ორღობების ტალახებში ქვა-ხიდებად აკეთებენო. გვიკვირს, ვისიც რიგია, რატომ ყურადღებას არ აქცევს ამ მოვლენას.

== ბათომიდამ გვატყობინებენ, რომ იქ წითელა გაჩენილა და ერთობ მძვინვარებს, შიგა და შიგ ყვავილსაც უჩენია თავი. ბოლოს დროს კი სახადიც სწვევია ბათომელებს. „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სკოლის მოწაფეთა თითქმის ნახევარი დამხდარა ავად წითელათი.

== «მწყემსის» მე-2 №-ში ვკითხულობთ: „ჩვენ შევიტყეთ, რომ «მწყემსის» წარსულის წლის №№-ში დაბეჭდილი წერილები: „ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში“ ავტორს შეუსწორებია და დაუმზადებია ცალკე წიგნად დასაბეჭდად. ამბობენ, რომ იგივე პირი ცალკე წიგნად აძლევს აგრეთვე რუსეთის, საბერძნეთის და ანტიოქიის მოკლე საეკლესიო ისტორიასაცა. ეჭვი არ არის, რომ მოსე ჯანაშვილის შრომა ფრიად საქებარია (?!) და ახლა, როდესაც საქართველოს სამღვდელოების უმეტესმა ნაწილმა არა თუ მეზობელი ეკლესიების ისტორია, არამედ თავის სამშობლო ქვეყნისაც არ იცის, მეტად საჭირო და სასარგებლო იქნება ამ შრომათა გამოცემა და გავრცელება, არა თუ სამღვდელო წოდებაში, არამედ სასულიერო სასწავლებლებშიაც და ხალხშიაც. ამისთანა წიგნების მოპოვება ჩვენთა ეკლესიათათვის მეტის მეტად საჭირო და სასარგებლოა და სრული იმედი გვაქვს, რომ, ვისგანაც ჯერ არს, ამ წიგნის გავრცელებას სრული შემწეობა აღმოუჩნდებაო“.

ჩვენ სრულიად წინააღმდეგნი არა ვართ ბ-ნი ჯანაშვილის წიგნის გავრცელებისა და გვესიამოვნება კიდეც მისი გამოცემა, მაგრამ „მწყემსი“-ი ვერაფერს „რეკომენდაციას“ უკეთებს ჯანაშვილის შრომას, როდესაც მისს გავრცელებისათვის საჭიროდ ჰნახავს „დახმარებას ვისგანაც ჯერ არს“...

== „მწყემსისავე“ 2 №-ში ვკითხულობთ: „ჩვენ შევიტყეთ, რომ სოფელ კანში (შორაპ. მაზრაში) მღვდელს ილარიონ მაჭარაშვილს ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოზის გაბრიელის ნება-დართვით გაუხსნია საეკლესიო სამრევლო სკოლა და იყვანს პატარა ყმაწვილებს სასწავლებლად. ამასთანავე ის ამზადებს ყმაწვილებს ზედა.მოსამზადებელი კლასებისთვისაც“...

== სომხური გაზეთი „ნორ-დარი“ (ახალი საუკუნე) აცხადებს, რომ იგი ყოველ-დღიური გამოცემა არის, მაშინ როდესაც მხოლოდ გუშინ, იანვრის თექვსმეტს გამოვიდა მეოთხე №-რი ამ გაზეთისა. რითი უნდა ახსნას, რომ თექვსმეტი დღის განმავლობაში მხოლოდ ოთხი ნომერი გამოდის? მაგრამ, ვინ იცის, იქნება „ახალი საუკუნის“ რედაქციამ დაიწყუნა კალენდრის ძველიცა და ახალი სტილიც და გამოიგონა თავის-თავად უახლესი, რომელიც წარმოადგენს უკუღმა გადმობრუნებულს ახალს სტილს და ძველს (რომელსაც ჩვენ მივსდევთ) თორმეტი დღით უკან რჩება?!

== ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი გაზეთში დასაბეჭდად: „თქვენს პატივცემულს «დროებაში» დაბეჭდილი იყო (№ 10) ქუთაისის სატუსაღოს ერთი ტუსაღთაგანის წერილი, რომლის პასუხად და, საზოგადოდ, ამ სატუსაღოს ტუსაღების საცნობლად გთხოვთ გამოაცხადოთ, რომ მე, ჩემის მხრით, დიდის სიამოვნებით ვასრულებ იმათ თხოვნას: დღეიდამ თითო ეგზემპლიარი „ნო-

---

სამს-ოთხსაც ზედი-ზედ დალალავს თამაშობით ამ გვარი მოცეკვე ქალიშვილებისათვის შეადგენენ საქებარ სიმღერითა, და თუნდა უსახურნიც იყვნენ, მაინც ისინი საქმროს ადვილად იშოვიან.

ცეკვაში და საზოგადო საერო დღესასწაულობაში ყველანი, წოდებათა განურჩევლად, მონაწილეობას ღებულობენ.

აი, ვთქვათ, შუა-წრეში გამოვიდა ჩვენი ესმა-ხანუმიც; ყველანი თავს უკრავენ და უცბად დაუცლიან ადგილს. მოპირ-და-პირეს მხრით გამოვა ყმაწვილი, მაღალი, ტანადი თავადიშვილი, აგრეთვე მშვენიერის სახისა. მათი თვალები შეეყრებიან ერთი-ერთმანეთს. ყველას თავს დაუკრავენ და იწყებენ აღელვებულად ცეკვას. ყმაწვილ-კაცს სძლია ქალმა, დღესასწაულობს მისი ძიძა და გარდამეტებულის სიხარულისაგან ცრემლს აფრქვევს. ქალის მეგობარი, ძიძის შვილი, კიდევ უმეტესს სიხარულშია.

ტამზუგ (სახელი ყმაწვილი თავადიშვილისა) დუმილით უთმობს ქალს გამარჯვებას და დუმილითვე წარმოსთქვამს ფიცსა, რომ მოიტაცებს ქალსა და შეერთდება მასთან საუკუნოდ.

წინ-და-წინვე ჰფიქრობს ძიძა თავის გაზრდილის ახალს ცხოვრებაზედ, იგი მოვალეა აჩქაროს მისი აღზრდა. იგი ზრუნავს სიმშვენიერის გარდა, იმაზედაც, რომ მისმა გაზრდილმა შეითვისოს მტკიცე ხასიათი, გამოცდილება საამოდ და მშვენიერად საუბრობისა, და იცოდეს დაკვრა საკრავზედ და სიმღერა. სიმღერას და დაკვრას ჩონგურზედ, ანუ ჭიანურზედ ჰსწავლობენ ყველა აფხაზები განურჩევლად წოდებისა და სქესისა, ხოლო ექვს-ხმიან სალამურზედ უკრავენ საკუთრად მწყემსნი.

თავადის ქალისთვის საჭიროა იცოდეს თოფის სროლა და იარაღის ხმარება, რადგან აფხაზები, როდესაც წავლენ საავაზაკოდ ან სატაცებლად, ხშირად სტოვებენ თავიანთ სახლობას ხანგრძლივის ვადით და ამისათვის დედა-კაცს უნდა შეეძლოს თავის თავისა და ოჯახის დაცვა თავ-დასხმის დროს.

ზოგჯერ დედა-კაცები გაჰყვებიან თავიანთ ქმრებს, როცა ღამით დადიან. ამ გვარ შემთხვევაში ქალისათვის საჭიროა იცოდეს მოხმარება თვით დაუხედნავის გიჟის ცხენისაც.

აფხაზეთში ხშირად შეხვდებით ღამით დედა-კაცსა, ყაბალახით თავ-შეხვეულს, ჩოხა ჩაცმულს და სრულიად დაიარაღებულს. იგი ჰზის გაშმაგებულ ცხენზედ და ძალზედ მიაჭენებს. თან მისდევენ გამორჩეული ცხენოსნები. დიდს მდინარეში ფონში გასვლა, ასი ვერსის სავალის გავლა, მტაცებლობა, ცეცხლის წაკიდება, ტყვედ წაყვანა, და გაჭირებაში ხმლით შეტაკება მტერთან — ესენი ყოველნი მისთვის ჩვეულებრივს საქმეს შეადგენენ.

ვინ დაერწმუნება, რომ აფხაზები ერთს ღამეს მორეკდენ ცხენებს იმერეთიდამ, გურიიდამ, სამეგრელოდამ, და მეორე დღეს გამოვიდოდენ საზოგადოებაში იმ გვარად, ვითომც მათ მთელი ღამე შინ, თავიანთ სახლში გაეტარებინათ? თუმცა ეს დაუჯერებელია, მაგრამ ასე ჩადიოდენ და ხან-დის-ხან ეხლაც ჩადიან ამას.

თავადის ქალი ესმა-ხანუმ განვითარდა ყველა ზემოხსენებულ საქმეში და შეეძლო თავის თავი ბედნიერად წარმოედგინა, თუ ერთს დღეს არ ეთქვათ მისთვის რომ მისი ძიძის ვაჟიშვილი უეცრად წყალში დაიხრჩო. ქალი ფეხ-შიშველი მირბის თავის ძიძასთან და მასთან ერთად იგლეჯს მდიდარსა და მშვენიერსა თმებსა, იკაწრის ლოყებს ფრჩხილებით და სისხლის ნაკადული მდუღარე ცრემლთან ერთად ილვრება.

შემოიკრიბა მთელი სოფელი წყლიდამ დამხრჩვალის გვამის ამოსაღებად; გამოცდილი მცურავების შემწეობით ჰპოვეს იგი და დამარხეს, მაგრამ ეს საკმაო არ არის. უნდა ამოიყვანონ წყლიდამ მისი სულიც. ამისათვის შეიკრიბენ მომღერალნი, მოცეკვენი, მეჭიანურენი და გარდაჰგდეს მდინარეზედ აბრეშუმის ზონარი სირმის ყაითნისა, ზონარს აბმენ პატარა გუდას რომლის პირ-გახსნილი ბოლო ოდნავ ეხება მდინარის ზედა-პირს. აფხაზნი დარწმუნებულნი არიან, რომ ლოცვა, ცეკვა და მუსიკა გავლენას იქონიებს დამხრჩვალის სულზედ და იგი შევა გუდაში. როდესაც გუდა იწყებს ჰაერით გაბერვას, მაშინ მოჰკრავენ პირს, წაიღებენ და სადაც დამარხულია დამხრჩვალი, იქ მოჰხსნიან და ჰაერს ახალს საფლავში ჩაუშვებენ. ამას რომ შეასრულებენ, მშობელნი და მონათესავენი შინ დაბრუნდებიან უფრო მოსვენებულის გულით, რადგანაც დარწმუნდენ, რომ სული პოვნილ იქმნა და თავის გვამს შეუერთდა.

პირველ-მყოფთა ერთა მსგავსად, აფხაზნი არიან ამაოდ-მორწმუნენი, ყოველს ბუნების მოვლინებაში იგინი ხედვენ რაღასაც საიდუმლოს და ბუნებაზედ აღმატებულს ძალას, წმინდასა, ანუ არაწმინდასა. მაგალითებრ: იმათ ცხოვრებაში დიდს როლს თამაშობს კუდიანი. ღრმად მოხუცებულს დედა კაცს აფხაზეთში კუდიანს უწოდებენ, მაგრამ კუდიანობასავე ხან-დის-ხან სწამებენ ქმრიან ყმაწვილ ქალებსაც, განსაკუთრებით გლეხთა წოდებისას.

კოწია მაჭავარიანი.

(შემდეგი იქნება)

ბათი"-ს განუწყვეტლივ ეგზავნებათ უფასოდ მ. ოქროპირ გაჩეჩიძის სახელობაზე. გამოსული ნომრების თითო ეგზემპლიარიც რედაქციისაგან უკვე გაგზავნილია.

„ნობათის" რედაქტორი-გამომცემელი
ა. ღულაძე.

## „დროების" კორესპონდენციები

**ქუთაისი**, იანვრის 15-ს. ქუთაისს დღემდის ამშვენებდა ორი პატარა და ლამაზი ხიდი, ეხლა მესამეც მალე მოემატება. ეს მესამე ხიდი ის ხიდია, რომელსაც «ძველ ხიდს» უწოდებდენ და რომელიც ლევაშოვის გუბერნატორობის დროს გაახლდა და იმის დროსვე დაინგრა. ბევრი სწერეს იმ დროს ამ ხიდის დანგრევის გამო გაზეთებში: ზოგი ინჟინრებს აბრალებდა, ზოგი პოლიციის უზრუნველობას; ასე იყო, თუ ისე, დამნაშავე დაუსჯელი დარჩა და ხიდი უკანასკნელ დრომდე დაქცეული. ეხლა ხიდი თითქმის მზად არის, მხოლოდ იატაკის დაფენა აკლია. არ ვიცით, რა მიზეზის გამო შეაჩერეს მუშაობა. ურიგო არ იქმნება, გაზაფხულამდის გაათავონ და მით გაუადვილონ ძველ ქუთაისს მისვლა-მოსვლა ახალ ქუთაისთან. ეს ხიდი აგრეთვე ძლიერ ეხმარებათ რაჭა-ლეჩხუმიდამ და სვანეთიდამ ჩამოსულ გლეხებს.

ხიდებს თავი დავანებოთ და სასტუმრების ამბავი მოვიხსენიოთ: ზოგიერთს ქუთაისის სასტუმროებში სიცოცხლე სდუღს-და-გადმოდუღს. აქ მშვენიერნი კოპწია ქალნი ართობენ საზოგადოებას და თითონაც შეექცევიან საზოგადოებისაგან. დაიწყება სიმღერა, სიმღერას მოჰყვება ცეკვა, ცეკვას მუსაიფი, მუსაიფს ლხინი... ერთის სიტყვით, ლასტაკობით, თუ ჯიბე ნებას გაძლევთ. ჩვენ არ ვახსენებდით ამ სასტუმროებს, რომ ერთი გარემოება არ გვქონდეს სახეში: ვაფთხილებთ მშობელთ, აღმზრდელთ და მასწავლებელთ, რომ თვალ-ყური ადევნონ თავიანთ შვილებს და მოწაფეთა: მიუჩვეველთ უფრო იჩვევენ ამ გვარი ადგილები. ყველამ იცის, თუ რა ცუდი გავლენა აქვს მოზარდ თაობაზე ამ ადგილებს, და მეტი იქმნება ამაზედ საუბარი.

აი, იანვრის 14-იც, ის დიდებული დღე, რომელიც მოგვაგონებს ჩვენს წარსულს და საქართველოს ნიადაგზე გამარჯვებას უდიდესის ჭეშმარიტებისას. ვაგონდება წმინდა ნინო ვაზის ჯვარით და მასთან ურიცხვნი ქართველთ წამებულნი, რომელთაც ქრისტესა და სამშობლოსათვის თავდადებული ერი დაავგირგვინეს ბრწყინვალე და უკვდავების სახელით ისტორიაში. ეს დღე დღეს-კი დავიწყებული გვაქვს. ვინ იცის ეგებ ბევრმა არც კი იცის, რომ იანვრის 14-ს არის მოხსენება საქართველოს განმანათლებლისა. ნეტა, რა შეცოდება იქმნებოდა, რომ წმინდა ნინოს დღესასწაული იდღესასწაულონ ისე, როგორც დღესასწაულობდენ ჩვენნი წინაპარნი?!!

ქუთაისში მხოლოდ რამდენიმე სასწავლებელმა იუქმა წმინდა ნინოს დღეობა და დიდებულად იდღესასწაულა ეს დღე ქალების გიმნაზიამ, რადგანაც ამ გიმნაზიის დღეობა იყო. 11 საათზე ეკლესიაში მღვდელ-მთავარმა გაბრიელმა შეასრულა წირვა და პარაკლისი და თანვე მშვენიერის ქადაგებით მიმართა ყმაწვილ ქალებს. მოაგონა მათ წმინდა ნინოს თავ-განწირულობა ქრისტიანობისთვის, მისი უბიწო ცხოვრება. მიბაძვა წმინდა ნინოსადმი და ზომიერი ცხოვრება დაავალიანა პატივცემულმა მოძღვარმა მოწაფე ქალთა. წირვის შემდეგ იყო გამართული საუზმე საპატიო პირთათვის და საღამოს — ბალი.

ვეიხაროდა — კარგი ზამთარი იდგა და ხალხში ჯან-მრთელობა იყო, მაგრამ ეხლა-კი ჩვენს სიხარულს ალაგი აღარა აქვს. ზამთარი თუმცა ისევ კარგი გვაქვს, მაგრამ ავად-მყოფობა ძლიერ გახშირდა: ხშირად ხდებიან ავად წითელი-ქარით და მჭვალით; ყველაზედ უმეტესად-კი ყვავილი მძვინვარებს.

ალ. აკ.

---

**ს. ველის-ციხე**, იანვრის 12-ს. ჩვენს სოფელს თითქმის ყოველ-გვარი დაწესებულება აქვს, რომელიც კი ცოტად, თუ ბევრად ეხმარება მის წარმატებას და ეხლა სოფლის ბანკიც მიემატა.

ვინც კი იცის, თუ რა ადვილად უვარდებოდათ გლეხ-კაცობის სარჩო-საბადებელი სხვა-და-სხვა უსინდისო მოვაჭრეებს, იგი მიხვდება ამ სანუგეშო მოვლენის მნიშვნელობას. ჩვენი „კაპიტალისტები" უწინ ერთ თუმანზედ სარგებელს ათ შაურსა და მანეთს ართმევდენ თვეში, და ეხლა გლეხკაცთ გაუჩნდათ საშუალება, რომ მანეთად კი არა, როდესაც სარგებლის სარგებელი აჭარბებდა თავნსა და მიწასთან ასწორებდა გლეხ-კაცს, — ორ შაურად იშოვონ ფული გაჭირების დროს.

ბანკი დააწესეს რამდენიმე კერძო პირთ: თ. ა. ჯ—მა, ი. ფ—მა, ი. ბ—მა, მ. ქ—მა და სხვ. არ შეგვიძლიან, ერთი შენიშვნა არ მივსცეთ ბანკის დამწესებელთ; ბანკის წევრთ უეჭველად უნდა ჩააყენონ საქმეში ერთი და ორი მცოდნე პირნი, თუ უნდათ რომ უფრო კეთილს ნიადაგს დაადგეს მათი ბანკი და კეთილად მიმდინარეობდეს საქმის წარმოება.

ელი.

---

**ს. ბეჯეთი**. იანვრის 10-ს ქუთაისის გუბერნიის სენაკის მაზრაში არის ბეჯეთის საზოგადოება. ამ საზოგადოებას, დიდი ხანია, რაც ადგილობრივნი მოხელენი უხსნიდენ სკოლის სარგებლობას და იწვევდენ მის გასახსნელად. ბოლოს გლეხებმა იკისრეს მათგან ჩაგონებული საქმე და გახსნეს ერთ კლასიანი სასოფლო სკოლა წარსულის წლის ორს დეკემბერს. სკოლის გახსნაზე დაესწრო ქუთაისის გუბერნიის სასოფლო სკოლების ინსპექტორი ბ-ნი ქორქაშვილი, პრისტავი ბ-ნი ქავთარაძე და სხვა გარეშე პირები. საზოგადოება შეკრებილი იყო უნაკლულოდ თავ-თავიანთ ყმაწვილებითურთ. სკოლაში მიღების მსურველთა რიცხვი ას ყმაწვილს აღემატებოდა, და ყველას მათგანს ჰსუროდა სკოლაში მიღება; საუბედუროდ ადგილი არ იყო და უარი ეთქვა სამოცზე მეტს. ძნელი წარმოსადგენია ის მწუხარება, რა მწუხარებაც მათ დაეტყოთ. მამები ხომ სულ თავს იკლავდენ, ნუ დაგვიტოვებთ შვილებს უსწავლელსაო. ბოლოს ისიც-კი დაიძახა ზოგიერთმა მათგანმა: თუ მიიღებთ ჩემს შვილს, ხომ კარგი, თუ არა, კაპეიკსაც არ გადვიხდი სკოლისათვისო. მაგრამ საქმე კარგად გათავდა. გლეხები დათანხმდენ წლის ყრაზედ და შემდეგ წლის ყრისა მიღებული ყმაწვილები ჟურნალში ჩასწერეს და შეუდგენ სკოლის კურთხევას. კურთხევის შემდეგ სკოლების ინსპექტორმა ბ-ნმა ქორქაშვილმა გამოაცხადა სკოლის გახსნა, ისურვა მისი წარმატება და გამოუცხადა მადლობა ბ-ნს ქავთარაძეს ამ კეთილ საქმისადმი ხელის შეწყობისათვის.

ბეჯ. სკოლის მასწავლებელი თოფურიძე.

## უცხოეთი

**საფრანგეთი**. «ჰავასის სააგენტოს» სწერენ შანხაიდამ, რომ ამ ნავთსადგურიდამ იანვრის 18-ს გამოსულა 12 სამხედრო გემი ჩინეთისა. ხმებია, რომ ეს გემები ფუჩეუსაკენ გაემართებიან და ეცდებიან მიეშველონ კუნძულ ფორმოზაზე ჩინეთის ჯარს; ეს კუნძული აგერ თითქმის ნახევარი წელია, რაც შემოზღუდულია ფრანცუზების ჯარით. ყველა გემები საუკეთესო ევროპის ქარხნებში არიან აშენებულნიო და იარაღნიც გემებისა: ზარბაზნები, თოფები და სხვ. უპირატესად ცნობილნი არიან მთელს ქვეყანაზეო. მთელს ესკადრას მართავს ვიცე-ადმირალი ვინმე ნემეცთაგანი, თუმცა, თვალების ასახვევად, ასახელებენ ესკადრის უფროსად ჩინელს ადმირალს ძან-ლი-ჩენგს. ამას გარდა 25-მდე სხვა ნემეცებიც ემსახურებიან ამ ესკადრაში, რომელნიც ზღვის საქმეში დიდად დახელოვნებული არიანო. — როგორც ხედავთ, ჩინეთის ძალა სახუმრო არ ყოფილა და საფრანგეთი 1860 წლისებურად სამი თვის განმავლობაში ვეღარ მიაღწევს ჩინეთის სატახტო ქალაქ — პეკინამდის. ინგლისურ გაზ. „ტაიმსის" სიტყვით ჩინეთის წარმომადგენელს პარიჟში მარკიზ ძენგს უცნობებია თვისის მთავრობისათვის, რომ მან წინააღმდეგობა გამოაცხადოს საფრანგეთის მთავრობის-მიერ ინგლისისაგან გემების შესყიდვის გამო. ამავე დროს მარკიზ ძენგი ცდილობს დაუმტკიცდეს ჩინეთის მთავრობას საომარ იარაღების თავისუფლად შეძენის უფლება ინგლისისაგან.

მართლაც, რომ ახირებული შეხედულება ჰქონია ჩინეთსა და ამას წარმომადგენელს ხალხთა-შორისს უფლებებზე.

**ინგლისი**. ერთის მხრით ახალის ამორჩევით უფლებათა გამოყენებამ პრაქტიკულად და მეორეს მხრით — გავრცელებულმა ხმებმა, რომ სამინისტროს უფროსი ლორდი გლადსტონი სტოვებს სამსახურსაო ცხარე მოძრაობა აღძრეს კონსერვატორულ დასის შორის. თუმცა ჯერ-ჯერობით გადაჭრით არ ითქმის — დასტოვებს თუ არა მართლა გლადსტონი ამ უმაღლეს ადგილს, მაგრამ კონსერვატორებს ეს მოვლენა მოსახერხებლად მიაჩნიათ და აქედამვე ანგარიშობენ მომავალ ამორჩევათა ვითარებას, ჰფიქრობენ ახალს ცვლილებებზე და თავიანთ პოლიტიკურს პროგრამაზე. კონსერვატიული დასის მოთავენი ეხლავე შეუდგნენ ქადაგებას. ერთ ამ მოთავეთაგანად ცნობილია ლორდ ჩემბერლენი, რომელიც თავს უქონავს თვის ხელ-ქვეშითთ. ეს არწმუნებს თვის მომხრე დასს, რომ მიუცილებელად საჭიროა გადიდდეს პროგრამა კონსერვატორულის დასისა და სხვ.

**შვეიცარია**. იმ დროს, როდესაც თითქმის ყველა ევროპის სახელმწიფონი ზოგი სად და ზოგი სად ომობენ, შვეიცარიის მთავრობას მთელი თვისი ყურადღება შინაგან განათლებაზე აქვს მიპყრობილი. ამ ჟამად იქ იკვლევენ ახალს სასკოლო რეფორმას. ამ რეფორმის თანახმად სახელმწიფო და კომუნა მოვალენი არიან იზრუნონ მაზედ, რომ ყოველმა შვილმა შვეიცარიისამ მიიღოს საკმაო განათლება. სწავლა-განათლება უნდა იყოს სავალდებულო და მუქთი. სახალხო და საშუალო სკოლების კარები უნდა ღია იყოს ყოველ-გვარის სარწმუნოების მიმდევარისათვის. სახელმწიფო მოვალეა ხელმძღვანელობა გაუწიოს უმაღლესს განათლებას და აგრეთვე მოვალეა გახსნას სახელოსნო და სავაჭრო სკოლები. სასულიერო წოდების წევრთ არ ექმნებათ უფლება რაიმე მონაწილეობის მიღებისა ახალგაზდათ განათლების საქმეში.

## ტელეგრამები

(„ჩრდილოეთის სააგენტოსი")

იანვრის 16-ს

**პეტერბურგი**. რუსეთში ღორების ჯიშის გასაუმჯობესებლად გამოცხადდა ნებართვა, რომ საზღვარ გარეთიდამ მოიყვანონ საუკეთესო ჯიშის ღორები.

**რომი**. უცხო ქვეყნების საქმეთა მინისტრმა კოლონიალურ პოლიტიკის გამო განმარტა, რომ იტალიას არ შეუძლიან მცირე მონაწილეობა მაინც არ მიიღოს ცივი-

ლიზაციის ბრძოლაში ბარბაროსობასთან: თან დაუმატა, ამ შემთხვევაში იტალიამ თვისი მოქმედება უნდა შეუთანხმოს პოლიტიკურს და ეკონომიურს ინტერესებს და უფლებებს სხვათა სახელმწიფოთა; გარდა ამისა მეწამულს ზღვას დიდი მნიშვნელობა აქვს იტალიისათვის, რადგან იგი გვერდით უდევს ხმელთა-შუა ზღვას, სადაც იტალიამ მტკიცედ უნდა დაიცვას პოლიტიკური თანაბარობა. მინისტრმა სთქვა აგრეთვე, რომ ინგლისთან მეგობრული კავშირი გვაქვსო; თუ საჭირო იქმნება, დაუმატა მან, საიდში კიდევ ერთს ბატალიონს გავგზავნითო.

## ცნობანი

**სააავადმყოფოს დირექტორი ბ-ნი ევრმიშევი** ამით აცხადებს, რომ ქ. თბილისის მოქალაქეთა მიერ გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის დაარსებულს საავადმყოფოში 1866 წლის აპრილის 4-ის მოსაგონებლად შემოღებული არის მცხოვრებთა შელავათისათვის ღამღამობით მორიგად ყოფნა ბბ. ექიმთა და ბებიათა.

**ექიმები:**

**არუთინიანი,** ორშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.

**კორონა,** სამშაბათობით და შაბათობით.

**მელიქ-ფარსადანოვი,** ოთხშაბათობით და პარასკევობით.

**ბებიები:**

**ფილჩაკოვისა,** სამშაბათობით.

**ბაგინოვისა,** ორშაბათობით, და პარასკევობით.

**სტეფანოვისა,** ოთხშაბათობით და შაბათობით.

**ლოჭშისა.** ხუთშაბათობით და კვირაობით.

სამკურნალოში, რომელიც თბილისის მოქალაქეთ დაარსეს სახსოვრად 4 აპრილისა 1866 წლისა, ავად-მყოფნი მიიღებიან დილის 8 საათიდამ 12 საათამდინ.

ყოველ დღე მიიღებენ ამ სამკურნალოში ავად-მყოფებს შემდეგი ექიმები: ტერ-გრიგორიანცი—8 საათიდამ 9 საათამდინ. სნებიო, საქალებო და საბავშვო ავადმყოფობის საწამლელად; ადამიანცი—9-დამ 10-საათამდე შინაგან და ნერვულ ავადმყოფობათა საწამლელად; ბენკლევსკი—10—11 საათამდე.—საქირურგო, სასიფილისო ავადმყოფობის წამლობისათვის და აგრეთვე კბილისა და ყურის ტკივილის საწამლელად; შტემბორსკი 11—12 საათამდე სიფილისისა და სხეულზე გამოჩენილი მუწუკების წამლობისათვის. ამას გარდა გარალევიჩი ორშაბათობით 9—10 საათამდე შინაგან ავადმყოფობის წამლობისათვის; კორონა ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის 10—11 საათამდე; მინკევიჩი სამშაბათობით და პარასკევობით 9—10 საათამდე ქირურგიული ავადმყოფობისათვის; ხამჩინსკი სამშაბათობით და შაბათობით 11—12 საათამდე თვალის ტკივილის საწამლელად; კრასნოგლიადოვი ორშაბათობით და პარასკევობით 10—11 საათამდე შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის; ვოლფსონი კბილის ტკივილის საწამლელად მიიღებს თავის სახლში ყოველთვის ღარიბ ავადმყოფებს, რომელთაც სამკურნალოდამ ზარათი ექმნებათ.

## ᲛᲐᲖᲐᲜᲓᲐ

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 1 იანვრიდამ 1 თებერვლამდე 1885 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა— | —1 | გირ. | 5 კ. |
| აქაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| მეორისა— — | —1 | გ. | 2 კ. |
| იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი: | | | |
| პირველი ხარისხის | —1 | გ. | $4^1/_2$ |
| მეორისა— — | —1 | გ. | 3 კ. |
| მესამისა— — | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| ჯვარის-მამი პური: | | | |
| პირველი ხარის. ლავაში | 1 | გ. | $4^1/_2$ |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | $3^1/_2$ |
| მესამისა— — | —1 | გ. | 3 კ. |
| ძროხის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | 8 კ. |
| მეორისა— — | —1 | გ. | 7 კ. |
| სუკი . . . | —1 | გ. | 15 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 | გ. | 8 კ. |
| ღორის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | 8 კ. |
| მეორისა— — | —1 | გ. | 7 კ. |

## ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲐ

თბილისიდამ ბათუმისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით

თბილისიდამ მარტო ხაშურამდინ
6 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდამ ბაქოსკენ
10 საათზედ და 45 წამ. დილით.
(სამშაბათობით და შაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. ღამ.)

ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.

ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.

ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილით.

ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილით.

ფოთიდამ დ ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამით.

მარტო ხაშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის
8 საათზედ დილით

ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან.
(სამშაბათობით და პარასკევობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)

## განცხადებანი

ვაძლევ გაკვეთილებს ყველა საგნებიდამ, სხვათა შორის ქართულის ენიდამაც. ვამზადებ ყმაწვილებს საშუალო სასწავლებელთათვის. ადრესი: „დროების" რედაქციაში. (5—5)

Librairie Chaverdoff, Tiflis
SOUS PRESSE
LA PEAU DE LÉOPARD
D'après
Chota Rousthavéli
par
Achas Borin. (3—1)

### ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲜᲙᲐ

სასარგებლო ავეჯი ყოველის ოჯახისათვის თეთრეულის გასარეცხად უბრალო ოთახის წყალში. ხარჯი უნდება ერთობ მცირე და რეცხვას მცირე წლოვანნიც მოახერხებენ. იწვევენ აგენტებს. ფასი მორთულობისა გაგზავნით ფოსტით—5 მან.; ციმბირში—8 მან. მორთულობასთან ერთად დარიგებაც იგზავნება. ადრესი: საგუბერნიო აგენტს რუსის მზღვეველ საზოგადოებისას, ვ. შლემენზონს, ქ. სიმფეროპოლს.

### ᲪᲜᲝᲑᲐ:

მ. ხ. ბენიამინე ილიას ძევ. თქვენი ავეჯია მივიღე და თანახმად თქვენის განცხადებისა ძალიან გამოსადეგია სარეცხად, ამისთვის მსურს კიდევ მივიღო ერთი „ამერიკანკა". გიგზავნით 5 მან. და უმორჩილესად გთხოვთ გამომიგზავნოთ თქვენ მიერ უკვე ცნობილის ადრესით: სიმბირის გუბ. კორსუნის მაზ. შიდოვის უდ. სხვათაც გავაცნობ ამ ავეჯს. გამგე უდაბნოსი, იერომონახი მაკარი, 1884 წ. 10 ენკენისთვე. (2—1)

### ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘ ᲕᲘᲜᲢᲔᲠᲘᲡᲐ

გოლოვინის პროსპექტზე, ფოსტის შენობის მახლობლად.

ღიაა სანახავად საზოგადოებისაგან დილის 10 საათიდამ საღამოს ათამდის.

მხატვრობითი ნახატები და სანთლის ფიგურები გამოცვლილნი არიან.

მხოლოდ მოკლე ხნით რჩება თბილისში.

შესვლის ფასი ყველა განყოფილებებში და ანატომიურს კაბინეთში შემცირებულია აბაზამდის; ბავშვები და მხედრობის დაბალი ჩინები იხდიან ორს შაურს.

უმორჩილესად ვსთხოვ უპატივცემულესს საზოგადოებას, რომ განსაკუთრებითი ყურადღება მიაქციოს ანატომიურს კაბინეთს (რომელიც მხოლოდ მოზრდილთათვის არის დანიშნული). (2—1)

ისყიდება იაფად

**ᲠᲝᲘᲐᲚᲘ**

თავლების (კონიუშენნაია) ქუჩაზედ, არლუთინსკის სახლებში, ციციკოვის სადგურში. (5—1

### ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲘ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲙᲠᲐᲕᲐᲢᲔᲑᲘ.



ერთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-ით უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, სამაჩრე, ჩაის და სტოლის კოვზები ჩანგლებითა, ფაძნოსი, დასადგმელი, პირისაბანი, სტაქნები, სუფოვნიკი, საწყაოსები, რიუმკები, გრაფინკები, საქაშური თეფშები, ბლიუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძევეები, სამარილეები, გარჩიცის საფრქვევები, უნაგირები კაცისა და ქალისა; ალვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბადო მაკრატლები, გაქსები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, კლიტეები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, პიყები, ზარიადები, კაპსიულები, ხაფანგები, ნიჩბები, ვატერპრუფი, საბნები, ჩულქები, წინდები, სუფრები, სალჩაკტებისათვის რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, პიკულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიტიკონები და სხვ. ინგლისურს მაღაზიებში №№ 156-157, 158, 159, და 160. ამ ნომრებს ყურადღება მიაქციეთ. (100—75)

ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲓᲐ ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ

## ᲔᲚᲘᲡᲝ

მოთხრობა ჩვენელთ ცხოვრებიდგან

თხზულება

ა. მ. მოჩხუბარიძისა.

ფასი 25 კაპ.

ისყიდება თბილისში: გრიქუროვის წიგნების მაღაზიაში და არწრუნისეულს სათეატრო კასაში ქუთაისში: ჭილაძის წიგნის მაღაზიაში; ფოთში: ხუმარაძის მაღაზიაში; ბათუმში: მასწავლებელს ბატ. მოსე ნათაძესთან; ოზურგეთში: ბ. ილურიძესთან; ახალციხეს: ბ. ნ. ალექსეევ-მესხიევთან; გორში: ბ. ნ. ლომაურთან და ბ. ს. მგალობლოვთან; თელავში: ბატ. ვ. როსტომაშვილთან.

იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გამოვა ამავე ავტორის თხზულებანი:

ელგუჯა, ისტორიული მოთხრობა.
არსენა, დრამა 3-ს მოქმედებად. დილა ქორწილის შემდეგ, კომ. 1-ს მოქმედებად და „თხზულებანის" პირველის ტომის, პირველი ნაწილი. (20—12)